ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24
2025 წლის 7 ნოემბერი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, შევიდეს ცვლილებები და დამატებები „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 მარტის №8 დადგენილების (matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 23/03/2022 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.158.016555) დანართ 1 -ში:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 მარტის №8 დადგენილებაში და დადგენილების დანართი 1-ის მე-2-ე მუხლის „ბ.ბ“ და ,,ბ.გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ.ბ.) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) – 4 (თანამდებობრივი სარგო – 2482 ლარი)“;

,,ბ.გ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) – 1 (თანამდებობრივი სარგო – 2336 ლარი)“.

მუხლი 2

შევიდეს დამატება „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 მარტის №8 დადგენილებაში და დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

,,გ) მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:

გ.ა) განყოფილების უფროსი (მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) –1 (თანამდებობრივი სარგო – 3358 ლარი);

გ.ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) – 1 (თანამდებობრივი სარგო – 2482 ლარი);

გ.გ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) – 1 (თანამდებობრივი სარგო – 2336 ლარი);

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი სვანიძე**